ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მარინე ბერაძის ანგარიში 2019 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

წინამდებარე ანგარიში შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექის“ 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი ანგარიში რიგითია, შესაბამისად საანგარიშო პერიოდში რიგგარეშე ანგარიშის განხილვა არ შემდგარა. ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვხელმძღვანელობდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო რეგლამენტით. ჩემი უფლებამოსილების განხორცილების შედეგად დამდგარი საბოლოო შედეგები (შენიშვნები, წინადადებები, რეკომენდაციები, დასკვნები) ზემოთ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებთან ერთად ეფუძნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის,საბიუჯეტო კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა მოქმედი კანონების, კანონქვემდებარე პუნქტების, ნორმატიული აქტების, ინსტრუქციებისა და დებულებების მოთხოვნებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორცილებედი, როგორც სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

ვარ საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე 14 საკრებულოს მორიგ და რიგგარეშე სხდომაში, ასევე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 11 სხდომაში და ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 11 სხდომაში.

ვარ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი-მდივანი და მონაწილეობა მივიღე გენდერული თანასწორობის საბჭოს 4 სხდომაში, ასევე შევდივარ მუნიციპალიტეტის მიერ „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის“ და „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ მინდობით აღზრდიდან სრულწლოვანების გამო ამორიცხული 18-24 წლამდე პირების ფინანსური დახმარების“ პროგრამებით გათვალისწინებული თანხის ეფექტურად და მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად შექმნილ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა მივიღე ჯგუფის 2 სხდომაში.

ასევე ვარ მუნიციპალიტეტში „პირის მუნიციპალიტეტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ წევრი და მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიის 1სხდომაში.

საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის, მიერ მოწვეულ თათბირებში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონსულტაციებში. ასევე საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში.

ყოველდღიურად მაქვს მუდმივი კომუნიკაცია და შეხვედრები ამომრჩევლებთან, რომლებიც სხვადასხვა პრობლემებით და საკითხებით მომმართავენ დახმარებისთვის, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს. ყველაზე ხშირია ამომრჩეველთა აქტიურობა სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

აქტიურ მონაწილეობა ვიღებ საკრებულოს მიერ ინიციირებული საკითხების განხილვაში, ვარ რამდენიმე ინიციატივის ავტორი, რომელიც აისახა როგორც მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში და სოციალური დახმარების გაცემის წესში. კონკრეტულად, საკითხები შეეხება

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციოდ განკუთვნილ სოციალურ დახმარებებს.

ჩემი ხელმძღვანელობით, სამანდატო, საპროსცედურო საკითხთა კომისიიდან მომზადდა და ინიციატივები საკრებულოს წარედგინა დასამტკიცებლად სხვადასხვა გეორგაფიული ობიექტების სახელდების შესახებ. კონკრეტულად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლისთვის ნინო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის(ისტორიულ უბანი - ბახმარო) სახელის - ბახმარო მინიჭების შესახებ საკითხზე მუშაობა და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა, რაც ასევე ჩემი უშუალო ჩართულობით მომზადდა.

ასევე მნიშვნელოვანი მონაწილეობა მივიღე, როგორც საკრებულოს წევრმა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ბახმაროსთვის დაბის სტატუსის მინიჭებისთვის გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებში და დოკუმენტაციის შედგენაში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ვარ აქტიურად ჩართული და უშუალოდ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიიდან გაიგზავნა კონკრეტული შენიშვნა-რეკომენდაციები, რომლთა უმრავლესობაც აისახა შესაბამისი წლის ბიუჯეტში.

აქტიურად ვიყავი ჩართული ასევე 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების წესის შემუშავებაში საკრებულოს იურიდიულ ჯგუფთან და მერიის სოციალურ სამსახურთან ერთად. აღნიშნულ წესში ჩემი ინიციატივით ჩაიწერა ახალი მუხლი (მუხლი N28), რომელსაც მიენიჭა ახალი პროგრამული კოდი. ეს არის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. ეს მუხლი მოიცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/ბენეფიციართა ფულადი დახმარებას, ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციევი ქალებისათვის დახმარება, რაც საერთო ჯამში განისაზღვრა 7 000 ლარით, ძალადობის წინააღმდეგ კვირეულის ფარგლებში (25.11.2019-10.12.2019 წწ.) ძალადობის აღმოფხვრის პროექტისთვის თანადაფინანსება 1000 ლარი და მეწარმე ქალთა ბიზნესფორუმის „ქალები გურიისთვის“ პროექტის თანადაფინანსება 1500 ლარის

ოდენობით. აღიშნული დაფინანსება გაიცემა იმ მეწარმე ქალებზე, რომლებიც თავიანთ სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

ჩემი ორგანიზებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე მეწარმე ქალი ჩაერთო პროექტში"ქალები გურიისთვის" და გახდნენ მეწარმე ქალთა ფორუმის მონაწილენი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები გრანტის მისაღებად პროექტების მომზადებისთვის, შესაბამისად პროექტი განხორციელდა 2019 წელს, გამოვლინდა გამარჯვებული და შესაბამისად მუნიციპალიტეტმა განახორციელა მისი თანადაფინანსება.

როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა მოვამზადე პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებეთა სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შესახებ, რომელიც განხილულ იქნა გენდერული თანასწორობის საბჭოზე და შესაბამისად დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. მონაწილეობა მივიღე ყველა იმ ღონისძიებაში თუ ტრენინგ-სემინარებში , რაც დაკავშირებული იყო გენდერული თანასწორობის საკითხებთან.

საკრებულოსთვის წარსადგენად ჩემს მიერ მომზადებული და საკრებულოზე წარდგენილი იქნა შემდეგი რამდენიმე პროექტი.

გარდა იმ საკითხებისა, რომელზეც მომხსენებელს წარმოვადგენდი საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილი ნებისმიერი პროექტის განხილვაში, ვაფიქსირებდი ჩემს მოსაზრებებს და სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, იგეგმება ახალი ინიციატივების წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, მათ შორის, მუსიკალური სკოლისა და სამხატვრო სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ, რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობას, იგეგმება აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც საინტერესო პროექტები განხორციელდება მუნიციპალიტეტში. ვმუშაობთ სხვადასხვა ინიციატივებზე, რომლებიც შესაძლებელია მომავალი წლის ბიუჯეტში აისახოს სოციალური პროექტების სახით.

კარგად მაქვს გააზრებული, ჩემს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში განხორციელებული ღონისძიებებიც და დღემდე გადაუჭრელი პრობლემებიც. ვცდილობ, ქართული ოცნების

გუნდთან ერთად გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რაც ჩემი კომპეტენციის ფარგლებშია. პრაქტიკულ საქმიანობაში ვითვალისწინებ იმ გამოცდილებას, რომელიც წლების განმავლობაში სხვადასხვა სამსახურებში შევიძინე.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო და მადლობა გადავუხადო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სრულ შემადგენლობას ამ პერიოდში გაწეული ღირსეული თანამშრომლობისთვის და იმედი მაქვს მომავალი თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერი იქნება. ზოგადად, მთელი ჩვენი ძალისხმევა, საკრებულოს თითოეული წევრის აუცილებლად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

მარინე ბერაძე

საკრებულოს წევრი, სამანდატო, საპროცედურო

საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

19.12.2019წ